პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	**სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა** **Special Education Teacher Training Programme**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კვალიფიკაციას არ ანიჭებს
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუ-დენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. 60 ECTS განაწილებულია 1 აკადემიურ წელზე (60 ECTS), 2 სემესტრზე (თითო 30 ECTS), სადაც: • სავალდებულო კურსები შეადგენს 50 ECTS • სასწავლო-პედაგოგიური პრაქტიკა 10 ECTS
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი	**თამარ მახარაძე** ასოცირებული პროფესორი, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნირებათა ფაკულტეტი ელ. ფოსტა: tamar.makharadze@tsu.ge
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებსა და მოთხოვნებს: 1. ფლობდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ დიპლომს; 2. ჰქონდეს საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებსა და ანალოგიურ დაწესებულებებში სწავლების არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით (დამსაქმებელი ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობით). 3. წარმატებით ჰქონდეს ჩაბარებული შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული საბაზო პროფესიული უნარების გამოცდა. 4. წარმატებით ჰქონდეს ჩაბარებული თსუ-ს მიერ ორგანიზებული გამოცდა. 5. რანჟირებული სიაში ერთნაირი ქულების შემთხვევაში, პროგრამას დაემატება შესაბამისი ადგილები.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია პროფესიონალი მასწავლებლის მომზადება, რომელიც აღჭურვილი იქნება სათანადო საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიური დარგობრივი კომპეტენციებით, რაც მას საშუალებას მისცემს, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებს შეუქმნას ადეკვატური სწავლა-სწავლების შესაფერისი გარემო.

	სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამა ეფუძნება პრინციპს, რომლის მიხედვითაც, ყველა ბავშვს აქვს უფლება, მიიღოს ზოგადი განათლება და მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი პოტენციალი. შესაბამისად, პროგრამა მიზნად ისახავს სათანადო კვალიფიკაციის, ცოდნისა და უნარების მქონე პირთა მომზადებას, რომლებიც სრულად აცნობიერებენ სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას და შეუძლიათ არსებული გამოწვევების ფონზე საუკეთესო გამოსავლის მოძიება, დასახული საგანმანათლებლო მიზნების მიღწევა. პროგრამა ეფუძნება სპეციალური მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და სრულად ითვალისწინებს „სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელში“ მოცემულ დებულებებსა და რეკომენდაციებს.
სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებული 1. მსჯელობს და გადმოსცემს ინკლუზიური განათლების არსს, ძირითად პრინციპებსა და ფილოსოფიურ საფუძვლებს; 2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების პროცესში განსაზღვრავს ესგ-ის ადაპტაციის, აკომოდაციისა თუ მოდიფიკაციის შესაძლებლობას და აცნობიერებს სწავლა-სწავლების პროცესში პოზიტიური გარემოს მნიშვნელობას; 3. აღწერს და განმარტავს ბავშვის განვითარების კანონზომიერებასა და თავისებურებებს სწავლა-სწავლების პროცესში და ითვალისწინებს იმ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობს ინდივიდის სწავლასა და დამოუკიდებელ ფუნქციონირებას; 4. განმარტავს და ასაბუთებს სასკოლო საზოგადოების (სკოლა, ოჯახი, თემი) მოლოდინების, დამოკიდებულებების, მხარდამჭერი ღონისძიებების გავლენას ინდივიდის აკადემიურ მიღწევასა და კეთილდღეობაზე.
უნარები	კურსდამთავრებული 5. ავლენს ინდივიდის სავარაუდო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებასა და ახდენს დროულ რეფერირებას სპეციალისტთან; 6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის წევრებთან ერთად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასების საფუძველზე, შეადგენს და განახორციელებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, მათ შორის, უზრუნველყოფს სასწავლო გარემოში თანამონაწილეობისა და მიკუთვნებულობის ხელშეწყობას; 7. მონაწილეობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ტრანზიციის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში; 8. იყენებს სწავლის უნივერსალური დიზაინის პრინციპებს განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით;

	9. მუშაობს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის პრინციპების საფუძველზე.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	კურსდამთავრებული 10. იცავს პროფესიული საქმიანობის პროცესში თანამედროვე სტანდარტებსა და ეთიკურ ნორმებს; 11. ახდენს თვითრეფლექსიას საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, გეგმავს და ახორციელებს, პროფესიული განვითარების აქტივობებს, შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კოლეგების მხარდაჭერის საფუძველზე.
სწავლა/სწავლების მეთოდები	სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად, კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება შედეგების მიღწევის სხვადასხვა მეთოდი. ამ მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარების განვითარებას. სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი ფორმები და მეთოდები: • ლექცია, სემინარი; • ანალიზი/სინთეზი; • დისკუსია/დებატები; • ევრისტიკული მეთოდი; • პრაქტიკული მუშაობა (სემინარი, სასწავლო/საველე პრაქტიკა); • დამოუკიდებელი მუშაობა; • ელექტრონული რესურსებით სწავლება; • ჯგუფური მუშაობა; • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; • შემთხვევის ანალიზი; • სუპერვიზია; • გონებრივი იერიში; • ინტროსპექცია და თვითრეფლექსია; • კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლება; • სიტუაციის მოდელირება და როლური თამაშები; • ესეს, რეფერატის, პრეზენტაციის მომზადება. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, შესაძლოა, იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს, ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.
შეფასების წესი	სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ისეთ ფორმებს, როგორებიცაა შუალედური (ერთ- ან

	მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). ამასთან, დასკვნითი გამოცდის შეფასება არ უნდა აღემატებოდეს 40 ქულას. შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს: ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული სამუშაო და სხვა. შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების სხვადასხვა მეთოდს, ესენია: ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვა. შეფასების კრიტერიუმებით დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში (შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულა; დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%). დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. **შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:** (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

	სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. შეფასების მიღების შემდეგ ხდება უკუგება სტუდენტსა და პედაგოგს შორის მიღწეული შედეგებისა და ნაკლოვანებების გაუმჯობესების მიზნით. უკუკავშირი სხვადასხვა ფორმისაა – აუდიტორიაში, საკონსულტაციო საათებისთვის გამოყოფილ დროს, ან ელექტრონული ფოსტით სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან.
დასაქმების სფეროები	სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ დასაქმება შესაძლებელია ისეთ დაწესებულებებში, როგორებიცაა: - ზოგადსაგანმანათლებლო ან/და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები; - დღის ცენტრები; - სარეაბილიტაციო დაწესებულებები; - მცირე საოჯახო ტიპის ცენტრები.
სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის	პროგრამა გათვალისწინებულია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე, სასწავლო ენა ქართული. სწავლის საფასურია 2250 ლარი.

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	**პროგრამის ადამიანური რესურსი:**
	
	პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, დარგის სპეციალისტები.
	
	პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 პედაგოგი, რომელთაგან აკადემიური პერსონალია 5 (2 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი), ხოლო 9 – დარგის მოწვეული სპეციალისტია.
	
	იხ. დანართი პროგრამაში ჩართული პერსონალი.
	
	პროგრამის მატერიალური რესურსი:
	
	• პროგრამა განხორციელდება თსუ-ის მესამე სასწავლო კორპუსში.
	  ○ საერთო ფართი 3091.48 კვ.მ; სასწავლო ფართის საერთო მოცულობა 1213,23კვ/მ;
	  ○ აუდიტორიების საერთო რაოდენობა: 24 ერთეული;
	  ○ კომპიუტერული რესურსცენტრი (ოთახი 206): 20 ერთეული კომპიუტერი სტუდენტებისთვის;

	○ ლაბორატორია 1: 20 ერთეული კომპიუტერი; ○ ლაბორატორია 2: 20 ერთეული კომპიუტერი; ○ ტრენინგის ჩასატარებელ ოთახი- 2; ○ აუდიტორიებში ადგილების საერთო რაოდენობა - 814. • თსუ-ის სამეცნიერო ბიბლიოთეკა. სასწავლო პროგრამა იყენებს საფაკულტეტო ბიბლიოთეკას, რომელშიც განთავსებულია ქართულენოვანი და უცხოენოვანი წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებს და სხვა სასწავლო მასალას (მათ შორის, ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომლის შევსება და განახლება ხდება ყოველწლიურად სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოებით; 2017 წლის 8 დეკემბრიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და, შესაბამისად, პროგრამის სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს წვდომა აქვს Clarivate Analytics პროდუქტზე Web of Science (WoS) 10. Web of Science პლატფორმაზე წვდომა შესაძლებელია თსუ-ის ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან www.webofscience.com Web of Science პლატფორმის გარდა, წვდომა ჩართულია Journal Citation Report-ზე, საიდანაც შესაძლებელია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალების ჩამონათვალის ნახვა და სარგებლობა. • აუდიტორიები აღჭურვილია ტექნიკით: თანამედროვე პროექტორი, პროექტორის ეკრანი, გახმოვანების აპარატურა; განახლებულია ინფრაქტრუქტურა; • კორპუსში განთავსებულია სამზარეულო პერსონალისათვის. **პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა:** პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფაკულტეტისთვის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფარგლებში, ასევე, უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ხარჯებით, რომელიც ემსახურება, უნივერსიტეტის ცენტრალური აპარატის ფუნქციონირებას, კომუნალური ხარჯების დაფარვას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნებს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების უზრუნველყოფას. ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის განხილვა დამტკიცების პროცესში ჩართულია ფაკულტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები. უნივერსიტეტის ბიუჯეტში ყოველწლიურად გათვალისწინებულია თანხები ეკონომიკური შემოსავლების არაუმეტეს 2%-ის მოცულობით და სემესტრულად გაიცემა საუნივერსიტეტო დაფინანსება, რაც გულისხმობს სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსებას აკადემიური შედეგების გათვალისწინებით.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	სპეციალური მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება შესაძლებელი გახდა 2022 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ

	„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების დამტკიცების შემდეგ. საკანონმდებლო ცვლილებებში გაწერილია ძირითადი მოთხოვნები სპეციალური მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ და ის სახელმწიფო რეგულაციები, რომელთა გატარება აუცილებელია პროგრამის განხორციელების დაწყებამდე. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს აქვთ სათანადო გამოცდილება და ასევე პედაგოგიური და დარგობრივი კომპეტენციები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურ, ეფექტიან ფუნქციონირებას, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. იგივე ეხება ასევე პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებაში ჩართული პირების კვალიფიკაციას, რომლებიც აკმაყოფილებენ დარგობრივ მახასიათებელში გაწერილ მოთხოვნებს (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პრაქტიკაში ჩართული პირისთვის: არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი სპეციალური განათლების, განათლების ან/და ფსიქოლოგიის მიმართულებით, და ინკლუზიური განათლების სფეროში სწავლების ან/და მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკაში ჩართული პირისთვის: ინკლუზიური განათლების სფეროში სწავლების ან/და მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება, არანაკლებ უფროსი მასწავლებელი ან/და უფროსი სპეციალური მასწავლებელი ან/და ფსიქოლოგი). პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება პარტნიორ სკოლებში. მისაღები კონტიგენტი შეადგენს არაუმეტეს 30 სტუდენტისა.